ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N67

ქ.თბილისი 24 ნოემბერი, 2020 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ირაკლი ზარქუა

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	გიორგი ბირბიჩაძე
რამინა ბერაძე	გულია გოცირიძე
ოთარ გრიგოლია	გიორგი დოხტურიშვილი
ბექა დავითულიანი	ანა ლაშხი
ლევან დარახველიძე	შალვა ოგბაიძე
ნინო ლაცაბიძე	ვაჟა ოთარაშვილი
ზაზა მამალაძე	ნინო რუხაძე
თინათინ ნიბლოშვილი	თამარ ტალიაშვილი
ლევან ჟორჟოლიანი	ვახტანგ შაქარიშვილი
დათო რურუა	გიორგი ჩაკვეტაძე
რევაზ სოხაძე	ვლადიმერ ძნელაძე
დავით უთმელიძე	ლევან ჯაფარიძე
ავთანდილ ცინცაძე	ჯაბა ჯიშკარიანი
ილია ჯიშკარიანი	ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდა - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადება გააკეთა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ თბილისის 2021 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, თითქოს მნიშვნელოვნად იზრდება სახელფასო ფონდი და განმარტა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, განხორციელდა მუნიციპალიტეტისთვის გარკვეული უფლებამოსილებების დელეგირება, კერძოდ, თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში, შეიქმნა ბავშვთა ზრუნვის სააგენტო. მისი თქმით, ყველასთვის ცნობილია, რომ ამა თუ იმ უფლებამოსილების დელეგირებას მოჰყვება შესაბამისი ფინანსური რესურსის გადაცემა და სწორედ ეს თანხაა ასახული 2021 წლის ბიუჯეტში, რაც ნიშნავს იმას, რომ თბილისის მუნიციპალიტეტს დაემატა გაკვეული კომპეტენციები და არა იმას, რომ „ჩინოვნიკებს ხელფასები მოემატათ“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“.

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ 2021 წლის პირველადი ბიუჯეტი, სპეც.ტრანსფერის გათვალისწინებით, შეადგენს 840000000 ლარს, რაც წინა წლის პირველად ბიუჯეტზე 181000000 ლარით ნაკლებია. აღნიშნა, რომ 2021 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში წარმოდგენილია კლება ძირითადად სამი მიმართულებით: ქონების გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და დეტალურად ისაუბრა ხარჯების გადანაწილებაზე. გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს მხრიდან, ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, გამოთქმულია გარკვეული შენიშვნები და რეკომენდაციები. ასევე, უახლოეს დღეებში, ფინანსთა სამინისტროს მხრიდან, თბილისის ბიუჯეტს დაემატება სპეც.ტრანსფერის თანხა. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულოს რეკომენდაციების და სპეც.ტრანსფერის გათვალისწინებით, 2021 წლის ბიუჯეტის განახლებულ პროექტს საკრებულოს წარუდგენს 2020 წლის 10 დეკემბრამდე.

ირაკლი ზარქუა დაინტერესდა, თუ რა რაოდენობის თანხის დამატებაა მოსალოდნელი ბიუჯეტისთვის სპეც.ტრანსფერის სახით.

გაიოზ თალაკვაძის თქმით, სპეც.ტრანსფერის თანხა, სავარაუდოდ, იქნება 100000000 ლარზე მეტი.

შალვა ოგბაიძე დაინტერესდა, თუ რამდენი შეიძლება იყოს 2021 წლის პირველადი ბიუჯეტი, სპეც.ტრანსფერის გათვალისწინებით.

გაიოზ თლაკვაძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ 2021 წლის პირველადი ბიუჯეტი იქნება მილიარდ ლარამდე და ეს დამოკიდებულია მომდევნო დღეებში განხორციელებული სპეც.ტრანსფერის რაოდენობაზე.

ვახტანგ შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ „ახალი კორონა ვირუსის - COVID 19“ პანდემიამ, სხვა ქვეყნებთან ერთად, ურთულესი გამოწვევის წინაშე დააყენა საქართველო. პანდემიის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დაწესებულ ფართომასშტაბიან შეზღუდვებს, მოჰყვა ძალიან მძიმე ეკონომიკური და სოციალური შედეგი. მისი თქმით, შექმნილ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ქვეყანაში არსებული ეპიდ.ვითარება და ვირუსის უკონტროლო გავრცელება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი, პრიორიტეტების განაწილებისა და პოლიტიკის დონეზე, შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო არსებულ ვითარებასთან. ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით აქვს გარკვეული შენიშვნები

და ისაუბრა მათზე: წინა წლის გეგმასთან შედარებით, ღონისძიებების უზრუნველყოფის მუხლში გაზრდილია თანხა და შეადგენს 8 მილიონ ლარს მაშინ, როდესაც ქვეყანაში მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეზღუდვებით, აკრძალულია ყველა სახის ღონისძიების ჩატარება და მოსალოდნელია შეზღუდვების კიდევ უფრო გამკაცრება; ქვეყანაში შექმნილი არაორდინალური ვითარებიდან გამომდინარე, უსამართლოდ მიაჩნია საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მუხლში 4.5 მილიონ ლარზე მეტის მობილიზება მაშინ, როდესაც წლების განმავლობაში ამ მუხლით გამოყოფილი თანხები ემსახურება კონკრეტული თანამდებობის პირების პოპულარიზაციას; ასევე, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მუხლი, რომელიც გულისხმობს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას, რადგან პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები მნიშვნელოვნად ამცირებს ეკონომიკურ აქტივობებს და აუცილებელია კონკრეტული განმარტება, თუ რას მოხმარდება ამ მუხლით გათვალისწინებული თანხები; პანდემიიდან გამომდინარე, შეზღუდულია ქვეყნებს შორის მიმოსვლა და ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს ტურისტული სექტორი, შესაბამისად არარაციონალურად მიაჩნია თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერის მუხლში 600000 ლარის გამოყოფა. ვახტანგ შაქარიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტში არ იქნა გათვალისწინებული დოლიძის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც მოიცავდა მიმდებარე ქუჩების ინფრასტრუქტურის მოწყობასაც, რაც თავისთავად, ხელს შეუწყობდა მთლიანი უბნის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ითხოვა, რესურსების არსებობის შემთხვევაში, 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას დოლიძის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ თუ მის მიერ ჩამოთვლილი საკითხები არ იქნება მნიშვნელოვნად გადახედილი და თბილისის 2021 წლის ბიუჯეტში არ ამოიკითხება ცვლილებები, რომლებიც დაარწმუნებს, რომ მუნიციპალიტეტი ადეკვატურად აფასებს ქალაქში და ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტს მხარს არ დაუჭერს.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი განხილული იქნა საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში და მათი რეკომენდაციებით და შენიშვნებით პროექტი დაბრუნდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში. მისი თქმით, მუნიციპალიტეტს აქვს დასახული გეგმა, რომ თბილისის 2021 წლის ბიუჯეტი იყოს მაქსიმალურად გაზრდილი და მომდევნო დღეებში, საკრებულო, მერიასთან ერთად, აქტიურ მუშაობას განაგრძობს იმისთვის, რომ თბილისის 2021 წლის ბიუჯეტი მაქსიმალურად ორიენტირებული იყოს ჩვენი თანამოქალაქეების კეთილდღეობაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი